ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს სხდომის

ო ქ მ ი **N7**

3.07.2017

ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგი:

1. რექტორის 16.06. 2017 წლის N122/01-01 და N123/01-01 ბრძანებებით ფსიქოლოგიის დეპარტამენტში პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ მიმდინარე კონკურსზე ასაკობრივი ზღვრის მოხსნა.

   სხდომა ჩატარდა ელექტრონულად.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავმჯდომარე: დეკანი, პროფ. თამარ გაგოშიძე

მდივანი: ასოც. პროფ. ზ. ქიტიაშვილი

ფაკულტეტის საბჭოს წევრები:

პროფესორები: მ. წერეთელი, ქ. ჭკუასელი, ი. კუტალაძე, ნ. სუმბაძე

ასოცირებული პროფესორები:
მ. მელიქიშვილი, ხ. მარწყვიშვილი, ლ. არუთინოვი, გ. გოროშიძე, ე. ფირცხალავა, ი. ჟვანია, მ. დესპოტაშვილი, ი. პეტრიაშვილი, ლ. ხეჩუაშვილი, მ. მესტვირიშვილი

ასისტენტ-პროფესორები: შ. მამუკაძე, ნ. ლაბარტყავა, თ. ლოდია, ი. გედევანიშვილი

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდა 20 **წევრი.**

განიხილეს:

1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს მოახსენა, რომ რექტორის 16.06. 2017 წლის N122/01-01 და N123/01-01 ბრძანებებით ფსიქოლოგიის დეპარტამენტში გამოცხადებულია პროფესორის და ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღები კონკურსი. მან განუცხადა საბჭოს, რომ დეკანის სახელზე შემოვიდა ფაკულტეტის საბჭოს წევრების -

პროფესორ ნანა სუმბაძისა და ასოც. პროფესორ ლუიზა არუთინოვას - წერილები. განმცხადებლები ითხოვენ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ მიმდინარე კონკურსზე ასაკობრივი ზღვრის მოხსნას. პროფ. თ. გაგოშიძემ საბჭოს წევრებს თხოვა, დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია აღნიშნული საკითხის გარშემო. მან კენჭისყრაზე დააყენა საკითხი:

პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ მიმდინარე კონკურსზე **მოიხსნას** ასაკობრივი ზღვარი.

კენჭი უყარეს:

მომხრე - 20

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

დაადგინეს:

რექტორის 16.06. 2017 წლის N122/01-01 და N123/01-01 ბრძანებებით ფსიქოლოგიის დეპარტამენტში პროფესორის და ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ მიმდინარე კონკურსზე **მოიხსნას** ასაკობრივი ზღვარი.

სხდომის თავმჯდომარე:
პროფესორი
თამარ გაგოშიძე

/ /

სხდომის მდივანი:
ასოცირებული პროფესორი
ზაქარია ქიტიაშვილი

/ /

3. 07.2017